



საქმე № 330210115001111341
საქმე №28/5560-15



თბილისის სააპელაციო სასამართლო
გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით
საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე

18 თებერვალი, 2016 წელი

თბილისი

სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემდეგი შემადგელობით:

ლილი ტყემალაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი)
მოსამართლეები: ხათუნა არევაძე
ვანო წიკლაური

საქმის განხილვის ფორმა – ზეპირი მოსმენის გარეშე

საჩივრის ავტორი – შპს „გ. ჯ.“

მოწინააღმდეგე მხარე – შპს „გ. ყ. XXXX“

გასაჩივრებული განჩინება – თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 05 ოქტომბრის განჩინება

საჩივრის ავტორის მოთხოვნა – გასაჩივრებული განჩინების გაუქმება

საქმის გარემოებებთან დაკავშირებით გასაჩივრებული განჩინების დასკვნებზე მითითება:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 05 ოქტომბრის განჩინებით შპს „გ. ყ. XXXX-ს“ წარმომადგენლის ე. გ.-ს მიერ წარმოდგენილი განცხადება დაკმაყოფილდა და ყადაღა დაედო: 1. ქ.თბილისი, ქ. წ.-ს გამზ. №XX, 2. ქ. თბილისი მ.-ს ქ. №XX; 3. ქ. თბილისი, თ.-ს დასახლება, XX მ/რ პ. ქ.-ს მ/ტ ნაკვეთი XX-XXX; 4. ქ. თბილისი, გ.-ს გამზ. X/X; 5. ქ. თბილისი, ა.-ს მეტროს მ/ტ; 6. ქ.თბილისი დ.-ს X კვ, მ.-ს ქ.№X; 7. ქ. მ., ს.-ს-ს ჩიხი №X; 8.ქ.ბ. ლ.-ს ქ.№Xა - მდებარე შპს „გ. ჯ.-ს“ (ს.კ XXXXXXXXXXX) კუთვნილ საღაროებში არსებულ ფულად სახსრებს - 42420,75 ლარის ფარგლებში.



განჩინება ეფუძნება შემდეგს:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელიც უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას და შესაბამის დასაბუთებას, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად. თუ სასამართლოს გაუჩნდება დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, იგი გამოიტანს განჩინებას სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ემყარება მოსამართლის ვარაუდს, რომ მხარის სასარჩელო მოთხოვნა შეიძლება დაკმაყოფილდეს. ასეთი ვარაუდი გავლენას არ ახდენს სასამართლოს მიერ შემდგომი გადაწყვეტილების გამოტანაზე.

სასამართლომ განმარტა, რომ ეს ნორმა მოითხოვს, რომ მოსარჩელემ მართოდენ მიუთითოს ასეთ გარემოებაზე (გარემოებებზე). განმცხადებელს არ ევალება მათი მტკიცება. ამ მითითების საფუძველზე სასამართლო უნდა მივიდეს სამართლებრივ დასკვნამდე, რომ უზრუნველსაყოფი გადაწყვეტილების აღსრულება შეიძლება მართლაც გაძნელდეს ან შეუძლებელი გახდეს უზრუნველყოფის ღონისძიების გატარების გარეშე.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საკითხს იმის შესახებ, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიება უნდა იქნეს გამოყენებული, წყვეტს სასამართლო მოსარჩელის განცხადების შესაბამისად. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება შეიძლება იყოს ყადაღის დადება ქონებაზე, ფასიან ქაღალდებსა თუ ფულად სახსრებზე, რომლებიც მოპასუხეს ეკუთვნის და არის მასთან ან სხვა პირთან.

სასამართლომ მიუთითა, რომ წარმოდგენილი სარჩელის დავის საგანია მოპასუხისთვის დავალიანების გადახდის დაკისრება. ასეთი სარჩელი კი არის მიკუთვნებითი, ანუ აღსრულებითი სარჩელი. ეს ნიშნავს, რომ სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში გადაწყვეტილებით განსაზღვრული სამართლებრივი შედეგის დადგომა დამოკიდებული იქნება არა მხოლოდ გადაწყვეტილების ძალაში შესვლაზე (როგორც ეს აღიარებითი სარჩელების შემთხვევაშია), არამედ ასევე მოპასუხის ნებაზე. მან უნდა განახორციელოს გარკვეული მოქმედება თანხის გადახდის თაობაზე. ასეთი ნების არარსებობის შემთხვევაში გადაწყვეტილებით განსაზღვრული შედეგის დადგომა დამოკიდებული ხდება ისეთ საშუალებაზე, როგორიცაა იძულებითი აღსრულება.

სასამართლომ განმარტა, რომ თუკი გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის მომენტისათვის არ იარსება მოსარჩელის დაკმაყოფილების საშუალებამ, ვთქვათ, ფულადი სახსრების განკარგვის გამო, გადაწყვეტილება იქცევა აღუსრულებელ გადაწყვეტილებად. სასამართლოს ვალია არა მხოლოდ სწორად და ობიექტურად გადაწყვიტოს დავა მხარეებს შორის, არამედ უზრუნველყოს სამომავლო გადაწყვეტილება აღსრულებლობისგან.



მოპასუხის კუთვნილი ფულადი სახსრები განიხილება საშუალებად, საიდანაც სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში გადახდევინება უნდა განხორციელდეს. ამ პირობებში კი, სარჩელის მოთხოვნის ხასიათიდან გამომდინარე, სასამართლომ აუცილებლად მიიჩნია მოპასუხის კუთვნილ ფულად სახსრებზე ყადაღის დადება, ვინაიდან, მისი განკარგვის შემთხვევაში მოსარჩელის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება შეიძლება გართულდეს ან სულაც შეუძლებელი გახდეს

სასამართლომ ჩათვალა, რომ სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადება შეიცავს შესაბამის დასაბუთებას, მოპასუხის კუთვნილ ფულად სახსრებზე ყადაღის დადების აუცილებლობის შესახებ, რამაც სასამართლოს შეუქმნა დასაბუთებული ვარაუდის საფუძველი, უზრუნველყოფის ღონისძიების მიუღებლობის შემთხვევაში, გადაწყვეტილების აღსრულების გაძნელების (შეუძლებლობის) თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ შპს „გ.ყ. XXXX-ს“ წარმომადგენლის ე. გ.-ს მიერ წარმოდგენილი განცხადება დააკმაყოფილა და შპს „გ. ყ. XXXX-ს“ სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით ყადაღა უნდა დაედოს: დაედო: 1. ქ. თბილისი, ქ. წ.-ს გამზ. №XX, 2. ქ. თბილისი შ.-ს ქ. №XX; 3. ქ.თბილისი, თ.-ს დასახლება, XX მ/რ პ. ქ.-ს მ/ტ ნაკვეთი XX-XXX; 4. ქ. თბილისი, გ.-ს გამზ. X/X; 5. ქ. თბილისი, ა.-ს მეტროს მ/ტ; 6. ქ. თბილისი დ.-ს X კვ, მ.-ს ქ.№X; 7. ქ. მ., ს.-ს.-ს ჩიხი №X; 8.ქ. ბ. ლ.-ს ქ.№Xა -მდებარე შპს „ფ. ჯ.-ს“ (ს.კ. XXXXXXXXXX) კუთვნილ საღარიბოებში არსებულ ფულად სახსრებს - 42420,75 ლარის ფარგლებში.

13.10.2015წ. თბილისის საქალაქო სასამართლოს საჩივრით მიმართა შპს „ფ. ჯ.-ს“ წარმომადგენელმა ო. გ.-მ, რომელმაც მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 05 ოქტომბრის განჩინების და ამ განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 17.11.2015წ. განჩინებით შპს „ფ. ჯ.-ს“ საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 05 ოქტომბრის განჩინებაზე არ დაკმაყოფილდა და საქმის მასალებთან ერთად გადმოეგზავნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს.

სააპელაციო სასამართლო გაეცნო რა წარმოდგენილ საჩივარს, შეისწავლა საქმის მასალები და მიაჩნია, რომ საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197¹-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში საჩივარი განიხილება ამ კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით დადგენილი წესით. 420-ე მუხლი ადგენს, რომ კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის საფუძველზე, სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას (განჩინებას) სააპელაციო საჩივრის (კერძო საჩივრის, საჩივრის) ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებისას სასამართლო ხელმძღვანელობს 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნებით.



საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის საფუძველზე, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც საქმე არსებითად არ წყდება, მიიღება განჩინების ფორმით. მითითებული მუხლის მე-3 ნაწილის “გ” ქვეპუნქტის თანახმად, განჩინება სამოტივაციო ნაწილის ნაცვლად უნდა შეიცავდეს მოკლე დასაბუთებას გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ან უცვლელად დატოვების შესახებ. თუ სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებს და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ და/ან სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, მაშინ დასაბუთება იცვლება მათზე მითითებით.

სააპელაციო პალატა განმარტავს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტი წარმოადგენს მატერიალური კანონმდებლობით დაცული უფლებებისა და კანონიერი ინტერესების რეალური განხორციელების სწრაფ და ეფექტურ საპროცესო-სამართლებრივ გარანტიას. აღნიშნული ინსტიტუტის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ უფლებათა დაცვის უზრუნველყოფა წინასწარი და დროებითი ხასიათის ღონისძიებაა და ხდება დარღვეული ან სადაო უფლების შესახებ სასამართლოს არსებითი მსჯელობისაგან დამოუკიდებლად, სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე. ყველა საქმეზე უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე მსჯელობისას, სასამართლომ, პირველ რიგში, ყურადღება უნდა გაამახვილოს სარჩელის უზრუნველყოფის საფუძველზე, კერძოდ, სამომავლოდ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების გაძნელების ან აღუსრულებლობის საშიშროებაზე. მოსარჩელემ უნდა მიუთითოს იმ კონკრეტული გარემოებების არსებობა, რომლებიც ადასტურებენ ვარაუდს, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას.

გასახილველ შემთხვევაში, პალატა იზიარებს პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობას იმის თაობაზე, რომ მოცემულ სარჩელთან მიმართებაში სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობის შემთხვევაში არსებობს გონივრული ვარაუდი სასამართლო გადაწყვეტილების შემდგომი აღსრულების დაბრკოლებისა. როგორც საქმის მასალებიდან დგინდება, შპს „გ. ყ. XXXX-ს“ სარჩელის დაცვის საგანია თანხის დაკისრება, სარჩელის იურიდიული ინტერესი მოსარჩელის განმარტებით მდგომარეობს მის სასარგებლოდ შპს „გ. ყ. XXXX-ს“ 41 039.56 ლარის გადახდის დაკისრებაში. შესაბამისად, სააპელაციო პალატა თვლის, რომ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას.

რაც შეეხება საჩივრის ავტორის მითითებას იმ გარემოებაზე, რომ საბანკო ანგარიშების დაყადაღებამ მათი კომპანია აზარალა, აღნიშნულის თაობაზე პალატა განმარტავს, რომ იურიდიული პირის პირად ანგარიშებზე ყადაღის დადებით კრედიტორი შეიძლება აღმოჩნდეს ისეთ სამართლებრივ ვითარებაში, როდესაც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საფუძველზე მეწარმე სუბიექტისა, თუ ამხანაგობის სამეწარმეო საქმიანობის შეფერხების შედეგად მოვალემ ვერც ნებაყოფლობით და ვეღარც „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მექანიზმების გამოყენებით ვეღარ შეძლოს კრედიტორის წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შესრულება. თუმცა, აღნიშნული არ ნიშნავს იმას, რომ სხვა საპროცესო უზრუნველყოფის გამოყენების შეუძლებლობის შემთხვევაში ანგარიშზე ყადაღის დადება



დაუშვებელია. მოსარჩელისა და მოპასუხის უფლებების თანაზომიერად დაცვის მიზნით, მოსარჩელემ ყველა ზომა უნდა მიიღოს მოპასუხის ქონების მოსაძიებლად, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩნდა, რომ მოპასუხეს ქონება არ გააჩნია, სწორედ ასეთ ვითარებაში შეიძლება დადგეს მეწარმე სუბიექტის ანგარიშზე არსებულ თანხაზე ყადაღის სახით, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა, თუმცა, რაღა თქმა უნდა, უზრუნველსაყოფი მოთხოვნის ოდენობის გათვალისწინებით და არა ანგარიშზე არსებულ მთლიან თანხაზე. მოცემულ შემთხვევაში, საჩივრის წარმოდგენის ეტაპზე, სწორედ საჩივრის ავტორს ეკისრებოდა ვალდებულება ემტკიცებინა, რომ მას სასარჩელო მოთხოვნის უზრუნველსაყოფად სხვა უძრავ-მოდრავი ქონება გააჩნია და, რომ ანგარიშზე ყადაღის დადება მისი უფლებების დაუშვებელი ხელყოფაა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გარეშე დატოვება, მხოლოდ იმ არგუმენტზე დაყრდნობით, რომ ანგარიშის დაყადაღება მიზანშეწონილი არ არის, სამართლებრივ მოტივაციას მოკლებულია.

სააპელაციო პალატას მიზანშეწონილად მიაჩნია, მხარეს განუმარტოს, რომ, თუ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების მიზნით, ანგარიშზე არსებულ თანხაზე ყადაღის დადებით მას ზიანი ადგება და აღნიშნული ზიანი მტკიცებულებებით დასტურდება, ასეთ ვითარებაში, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი შესაბამის საპროცესო-სამართლებრივ ბერკეტებს ითვალისწინებს, მათ შორისაა, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შეცვლა, უზრუნველყოფის საგნის ჩანაცვლება და ა. შ. ამდენად, თუ საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ აღნიშნული უზრუნველყოფის ღონისძიება გაუმართლებლად ხელყოფს მის უფლებას, იგი უფლებამოსილია ნაცვლად გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიებისა, შესთავაზოს სასამართლოს უზრუნველყოფის სხვა საშუალება და მოითხოვოს ფულად სახსრებზე ყადაღის სახით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების შეცვლა სხვა, მისთვის უფრო მისაღები უზრუნველყოფის ღონისძიებით, რომელიც ერთი მხრივ, მისთვის უფრო ხელსაყრელი იქნება, ხოლო მეორე მხრივ, მოსარჩელეს სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების რეალურ ბერკეტებს შეუქმნის, მაგალითისათვის, უფლებრივად დაუტვირთავი ქონების შეთავაზება, თანხის დეპოზიტზე განთავსება და ა. შ.

შესაბამისად, სააპელაციო პალატა ეთანხმება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 05 ოქტომბრის განჩინებაში მოცემულ შეფასებებსა და დასკვნებს და მიაჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ კანონშესაბამისად გამოიყენა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება.

პალატა ასკვნის, რომ გასაჩივრებული განჩინება დასაბუთებულია, კანონიერი და საჩივარში მითითებული გარემოებები არ ქმნის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებულ მისი გაუქმების პროცესუალურ-სამართლებრივ საფუძვლებს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, ზემდგომი სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრის (საჩივრის) თაობაზე არ გასაჩივრდება.

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო



კოდექსის 197¹-ე, 372-ე, 390-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. შპს „ფ. ჯ.-ს“ საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 05 ოქტომბრის განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ;
3. განჩინება არ გასაჩივრდება.

თავმჯდომარე:

ლილი ტყემალაძე

მოსამართლეები:

ხათუნა არევაძე

ვანო წიკლაური